საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წლიური ანგარიში

2024

სარჩევი

2024 წლის შეჯამება 3

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 4

აკრედიტირებული პროგრამები 5

სერტიფიცირების პროგრამა 6

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 7

გამოცხადებული ტრენინგები 8

განხორციელებული პროექტები და აქტივობები 9

- დასაქმების ფორუმი 9
- თანამშრომლობის მემორანდუმი Kreston Georgia – სთან 10
- აშშ-ს მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO) აუდიტის დახელოვნების ცენტრის (CAE) თანამშრომლობა 11

კორპორატიული თანამშრომლობა 12

მომხმარებელთა უკუკავშირი 15

2024 წლის შეჯამება

2024 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ტრენინგებისა და სერტიფიცირების მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა.

2024 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის (ISO 9001:2015) სერტიფიკატი ხელახლა მოიპოვა. ამჯერად ინსტიტუტს ის 2027 წლამდე მიენიჭა სერტიფიცირების პროგრამის, ტრენინგების, ტესტირებისა და კონსულტირების მიმართულებით.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით შემუშავდა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის 2024-2028 წლების სტრატეგია.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი – ქოუჩინგი და უკუკავშირი (Coaching & Feedback).

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება.

ამ მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს სასწავლო პროგრამებს, მათ შორის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის, პროფესიული და ტექნიკური უნარების, პროექტების მართვის, საოფისე პროგრამებისა და სხვა მიმართულებებით.

ამასთანავე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს ინდივიდუალურ (საცალო) და კორპორატიულ სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსები ტარდება წინასწარ შედგენილი გეგმური კალენდრის მიხედვით. ინსტიტუტი ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, შეიმუშავებს მათი მოთხოვნების, საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო კურსებს.



2024 წელს შემუშავებული ტრენინგები

19

აკრედიტირებული პროგრამები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2019 წელს აკრედიტაცია მოიპოვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან და მიენიჭა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების უფლება. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება ითვალისწინებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს, როგორიცაა: „მოხელის მენეჯერული უნარები" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი".

ინსტიტუტი არის პირველი სასწავლო დაწესებულება, რომელმაც საბაზისო პროგრამების – „მოხელის მენეჯერული უნარები" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" ელექტრონულ ფორმატში განხორციელების უფლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს მიერ 5 წლის ვადით მოიპოვა.

2024 წელს აკრედიტირებული პროგრამების კურსი განხორციელდა 12 ჯგუფისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 192-მა ადამიანმა.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი – 2024 წელს ჩატარდა 10 ჯგუფთან, მათ შორის განხორციელდა 5 კორპორატიული დაკვეთა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და 1 კორპორატიული დაკვეთა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან. სულ პროგრამას ესწრებოდა 168 საჯარო მოხელე, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 78 თანამშრომელი, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 20 თანამშრომელი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2 თანამშრომელი.

მოხელის მენეჯერული უნარები – ჩატარდა 2 ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 24 საჯარო მოხელე.

სერტიფიცირების პროგრამა

საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირება საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ექსკლუზიური უფლებაა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ აუდიტის საკანონმდებლო ბაზა, გაეცნონ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, მოქმედების სფეროებსა და სტრუქტურას.

სასერტიფიკატო კურსი მოიცავს: ფინანსურ, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტებს, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობას, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას. სერტიფიცირების სასწავლო კურსის დასრულების და გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა საჯარო სამსახურში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი ხუთწლიანი სერტიფიკატი.

2024 წლის განმავლობაში საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსი განხორციელდა 2 ჯგუფთან. აღნიშნულ პროგრამაში 35 პირი მონაწილეობდა. მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 1 თანამშრომელი. 2024 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა ორჯერ. სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასული 29 პირისგან სერტიფიკატი მოიპოვა 11-მა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებულ ტრენინგ კურსებში სულ წარმოდგენილი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 539 თანამშრომელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჭიროებების და მოთხოვნის გათვალისწინებით თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებში:

#	ტრენინგი/მოდული	მონაწილეთა რაოდენობა
1	ბიზნეს პროტოკოლი და საერთაშორისო ურთიერთობები	4
2	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	2
3	გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტი (Adobe)	7
4	პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები	256
5	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი	2
6	ინვენტარიზაცია	9
7	სტაჟირების პროგრამა	18
8	მონაცემთა ვიზუალიზაცია	1
9	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სექტორში	2
10	სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (გადახდების პროცედურები)	18
11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი	220

გამოცხადებული ტრენინგები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი წლის დასაწყისში შეიმუშავებს ტრენინგების გეგმას, რომელიც სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს მოიცავს. 2024 წელს ინსტიტუტმა საჯარო აუდიტის და სხვა მიმართულების, 14 ტრენინგ-კურსი განახორციელა 24 ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც ჯამში 288 პირი გადამზადდა.

#	ტრენინგი	ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	საბიუჯეტო კანონმდებლობა	2	20
2	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სექტორში	2	19
3	ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში	4	63
4	სისტემური აუდიტი	3	42
5	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	1	17
6	ფინანსური თაღლითობა და კორუფცია – პრევენცია, გამოვლენა და კონტროლი	2	29
7	საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (სბსს მიხედვით)	1	7
8	შესაბამისობის აუდიტი	2	11
9	ეფექტიანობის აუდიტი	2	19
10	ფინანსური აუდიტი	2	11
11	მონაცემთა ვიზუალიზაცია	1	9
12	სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში	1	6
13	ბიზნეს პროტოკოლი და საერთაშორისო ურთიერთობები	1	18
14	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან ურთიერთობები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი	1	17

განხორციელებული პროექტები და აქტივობები

დასაქმების ფორუმი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში,მონაწილეობა მიიღო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ დასაქმების ფორუმში, სადაც სტუდენტებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საქმიანობა გააცნო. დაინტერესებულ სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდეს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სასერტიფიკატო,სასწავლო-პროფესიული პროგრამების და ტრენინგების შესახებ. დასაქმების ფორუმზე ორგანიზაციებმა პანელური შეხვედრები გამართეს და საინფორმაციო პრეზენტაციები წარადგინეს. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, ვრცლად ისაუბრეს აუდიტორის,როგორც მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიის შესახებ და ახალგაზრდებს სფეროს სიახლეები გააცნეს. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

თანამშრომლობის მემორანდუმი KRESTON GEORGIA-სთან

საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და აუდიტორულ კომპანია „კრესტონ ჯორჯიას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას პროფესიული განათლების, პერსონალის განვითარების, აუდიტის სფეროში პროფესიული კადრების დაინტერესებისა და მოზიდვის ხელშემწყობ აქტივობებში, ასევე, გამოცდილებების და ცოდნის გაზიარების ერთობლივ ღონისძიებებში.

,,კრესტონ ჯორჯია'' მეთერთმეტე აუდიტორული კომპანიაა, რომელთანაც საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა მემორანდუმი გააფორმა.

აშშ-ს მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO) აუდიტის დახელოვნების ცენტრის (CAE) თანამშრომლობა

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი თანამშრომლობის პროექტი მიზნად ისახავდა „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ შესაძლებლობების გაძლიერებას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა პროფესიული დახელოვნების ხელშეწყობას. მიმდინარე წლის განმავლობაში საჯარო აუდიტის ინსტიტუტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობდა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებაზე. პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები აშშ-ს მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO), აუდიტის დახელოვნების ცენტრის (CAE) წარმომადგენლებთან.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აუდიტორებისთვის და ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი – ქოუჩინგი და უკუკავშირი ქოუჩინგი და უკუკავშირი. ტრენინგის დასრულების შემდეგ 26 მონაწილეს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ.

კორპორატიული თანამშრომლობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი კორპორატიული დავკეთების ფარგლებში, თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციასთან და ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე შეიმუშავებს მათი მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო პროგრამებს და ტრენინგ კურსებს.

2024 წელს კორპორატიული თანამშრომლობა განხორციელდა 9 ორგანიზაციასთან:

თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- საჯარო აუდიტის მიმართულებით – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (სსბასს) (IPSAS) – ტრენინგი ჩატარდა 9 ჯგუფთან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 162 თანამშრომელი ესწრებოდა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა – ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ბუღალტრული პროგრამა (ესბა ESBA) – ტრენინგი ჩატარდა 11 ჯგუფთან. ტრენინგს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 163 თანამშრომელი ესწრებოდა.
- პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი – 5 ჯგუფთან ჩატარდა და მონაწილეობდა 78 თანამშრომელი.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისთვის განხორციელდა რიგი ტრენინგები:

- სოციალური პოლიტიკის წარმოება ადგილობრივ დონეზე – 14 მონაწილე;
- პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი – 20 მონაწილე;
- პროექტების მართვა – 16 მონაწილე;
- ქცევის მეცნიერება და საჯარო პოლიტიკა – როგორ მივიღოთ მდგრადი ცვლილება სწრაფად და ხარჯთეფექტურად – 15 მონაწილე;
- სანივთო და ვალდებულებითი სამართალი – 10 მონაწილე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები – 14 მონაწილე;
- Ms Excel – 15 მონაწილე;
- მიწის სამართალი, მიწის სამართლის თანამედროვე გამოწვევები – 10 მონაწილე;
- სახელშეკრულებო სამართალი და ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა – 10 მონაწილე;
- მედიაცია: დავის გადაწყვეტის ალტერნატიული და ეფექტური მექანიზმი, ნოვაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში – 10 მონაწილე;
- დარწმუნების ფსიქოლოგია და არგუმენტაცია – 15 მონაწილე;
- გენდერული მეინსტრიმინგი – 14 მონაწილე;
- სტრესის მართვა – 15 მონაწილე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი:

- საჯარო აუდიტის მიმართულებით – ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში – 20 მონაწილე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა:

- პროგრამა – მაღალეფექტური გუნდური ლიდერობა – მოიცავდა 3 ტრენინგ-მოდულს და 2 ინდივიდუალურ ქოუჩ-სესიას. პროგრამაში მონაწილეობდა 22 მონაწილე;
- ხარისხისა და პროცესების მართვა – 24 მონაწილე.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებისთვის ქ. ქუთაისში ჩატარდა ტრენინგი:

- მართვის თანამედროვე პრაქტიკები და ლიდერობა – 7 მონაწილე.

ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებისთვის განხორციელდა პროგრამა :

- გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები საჯარო სამსახურში, რომელიც შედგებოდა 7 დამოუკიდებელი ტრენინგ-მოდულისაგან და მონაწილეობდა 15 მსმენელი.
  - ეფექტიანობის აუდიტი
  - კორუფცია და კორუფციის რისკების შეფასება
  - საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ზოგადი კურსი
  - ფინანსური აუდიტი
  - შესაბამისობის აუდიტი
  - სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ასპექტები, რისკები და მათი იდენტიფიცირების თავისებურებები
  - შიდა აუდიტის საფუძვლები და რისკების მართვა

კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი – 8 მონაწილე.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) და მისი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები – 23 მონაწილე.

აუდიტორულ კომპანია – „ეკოვის ეი თი ეი ფინანსების" თანამშრომლებისთვის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი:

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტი – 26 მონაწილე.

მომხმარებელთა უკუკავშირი

ტრენერი არის უაღრესად კვალიფიციური, მაღალი დონის პროფესიონალი, თემის ღრმად მცოდნე, ინფორმაცია გადმოგვცა მარტივი და გასაგები ენით, შესაბამისი საუკეთესო მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიღებული ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი დაკისრებული ფუნქციების შესრულების, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და შედეგების გაზომვის პროცესში.

რაც შეეხება ინფორმაციის გაგებას და აღქმას, ყველა საკითხი გასაგებად და ძალიან მარტივად აღსაქმელი იყო რაც ტრენერის დიდი დამსახურებაა. ტრენინგი იყო ძალიან ინფორმაციული და საინტერესო, ვფიქრობ ყველა საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

ტრენინგის განმავლობაში არ დარჩენილა საკითხი, რომელიც ამომწურავად არ იქნა განხილული. უდიდესი სურვილი მაქვს, კვლავ დავესწრო მის სხვა ტრენინგებს. მადლობა საჯარო აუდიტის ინსტიტუტს არაჩვეულებრივი ორგანიზებისთვის.

მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი



აკრედიტირებული პროგრამები



სერტიფიცირების კურსი



ტრენინგები

საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი